

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის
ინოვაციური განათლების კვლევითი ცენტრის
დებულება**

მუხლი 1. დებულების მოქმედების სფერო

- 1.1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის „ინოვაციური განათლების კვლევითი ცენტრის“ ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საკითხებს;
- 1.2. ცენტრის დებულებას შეიმუშავებს მისი ხელმძღვანელი ცენტრის საბჭოსთან შეთანხმებით, რომელიც ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით განსახილველად და დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებს.

მუხლი 2. ცენტრის სახელწოდება

- 2.1. „ინოვაციური განათლების კვლევითი ცენტრი“ (შემდგომში ცენტრი) არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევითი და საგანმანათლებლო მიზნებისთვის შექმნილი ცენტრი, რომელიც ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის კონტროლის პირობებში ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას სკოლამდელი, ზოგადი და უმაღლესი განათლების საფეხურებზე შემდეგი მიმართულებებით:
 - სწავლა-სწავლების პროცესში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება დიდაქტიკური კვლევების საფუძველზე;
 - სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანობის ხელშემწყობი აქტივობების, მათი განხორციელების სტრატეგიებისა და მეთოდების შექმნა ფორმალური და არაფორმალური განათლების საჭიროებების კვლევის შედეგების საფუძველზე;
 - საგანმანათლებლო პროცესში ციფრული ტექნოლოგიებისა და მეწარმეობის ინტეგრირება 21-ე საუკუნის განათლების მიზნებიდან და გამოწვევებიდან გამომდინარე.
- 2.2. ცენტრი შექმნილია წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით (.....).

მუხლი 3. ცენტრის მიზნები და ამოცანები

3.1. ცენტრის მიზანია:

- უპასუხოს 21-ე საუკუნის ციფრული მსოფლიოს გამოწვევებს და კვლევების საფუძველზე შექმნას სწავლა-სწავლებისა და კვლევის მაღალი სტანდარტების თეორიული და პრაქტიკული საფუძველი ქართული საგანმანათლებლო სივრცისათვის, რაც ხელს შეუწყობს როგორც სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებას, ასევე ინოვაციური და სამეწარმეო ამროვნების დანერგვას სკოლამდელი, სასკოლო და საუნივერსიტეტო და, ზოგადად, ქვეყნის საგანმანათლებლო სივრცეში.

3.2. ცენტრის ამოცანებია:

3.2.1 კვლევა

- 3.2.1.1. კვლევების ჩატარება (მათ შორის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტების მონაწილეობით) ინოვაციური განათლების დანერგვის მიმართულებით სწავლების სხვადასხვა საფეხურზე უნივერსიტეტსა და, ზოგადად, ქვეყანაში. ჩატარებული კვლევების შედეგად სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენება და სამეწარმეო ამროვნების განათლებაში დანერგვა;

3.2.1.2. მონაწილეობა ადგილობრივ თუ საერთაშორისო სხვადასხვა ტიპის კვლევით პროექტებში.

3.2.2. პუბლიკაციები

3.2.2.1. კვლევის შედეგების პუბლიკაცია ადგილობრივ და საერთაშორისო კრებულებსა და ჟურნალებში;

3.2.2.2. პროფესიული საზოგადოებისთვის კვლევის შედეგებისა და ინოვაციური საგანმანათლებლო მიდგომების გაცნობა ცენტრის მიერ პერიოდულად გამოცემული მასალების გამოცემით (სტაგიათა კრებული, საკონფერენციო მოხსენებები, სასწავლო-მეთოდური ლიტერატურა და გამომკვლევები);

3.2.2.3. პედაგოგიური კვლევების საფუძვლების მომზადება-გამოცემა პროფესიული საზოგადოებისა და ამ საკითხით დაინტერესებული პირებისათვის.

3.2.3. პროგრამების მომზადება

3.2.3.1. ფაკულტეტის აკადემიური და საგანმანათლებლო პროგრამების კონცეფციების შემუშავებაში მონაწილეობა ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრის კვლევის შედეგების გათვალისწინებით;

3.2.3.2. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის გრენინგი მათთვის საგანმანათლებლო ინოვაციების გაზიარების მიზნით.

3.2.4. პროგრამების განვითარება

3.2.4.1. არსებული აკადემიური და საგანმანათლებლო პროგრამების გარდაქმნაში მონაწილეობა ინოვაციური, ტექნოლოგიური და სამეწარმეო უნარების განვითარების კუთხით;

3.2.4.2. არსებული პროგრამების შესწავლა, მათთვის ციფრული პლაგფორმების შექმნა და შესაბამისი მეთოდოლოგიის შემუშავება.

3.2.5. კონფერენციები და სამუშაო შეხვედრები

3.2.5.1. კონფერენციების (მათ შორის, საერთაშორისო) ჩატარება და სამუშაო შეხვედრების ორგანიზება საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე აქტუალურ საკითხებზე;

3.2.5.2. ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა და სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა.

3.2.6. პროფესიული განვითარება

ჩატარებული კვლევების საფუძველზე იდენტიფიცირებული პრობლემების შესახებ პროფესიული განვითარების (ონლაინ) ვორკშოპებისა და (ონლაინ) სემინარების შეთავაზება:

- სკოლის პედაგოგებისათვის;
- უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და, დაინტერესების შემთხვევაში, სხვა უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალისათვის.

გრენინგ-მოდულების სავარაუდო თემატიკა: სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომები; ციფრული მედიის გამოყენებით სწავლება საუნივერსიტეტო სივრცეში; სამეწარმეო უნარების ინტეგრირება სასწავლო კურსებში; პედაგოგიური კვლევების დაგეგმვა-განხორციელება და სხვა.

3.2.7. ექსტრაკურიკულარული საგანმანათლებლო პროექტები

მონაწილეობს სხვადასხვა სასწავლო პროექტში, როგორცაა

- საზაფხულო სკოლები;
- ერთობლივი პროექტები ადგილობრივ, საერთაშორისო, არასამთავრობო და სხვა ორგანიზაციებთან და ა.შ.

მუხლი 4. ცენტრის სტრუქტურა

ცენტრი წარმოადგენს პროფესორთა და მკვლევართა გაერთიანებას, რომელთა საქმიანობა ხორციელდება წინამდებარე დებულებით.

მუხლი 5. ცენტრის მართვის ორგანოები და მათი ფუნქციები

- 5.1. მართვის ორგანოებია: ცენტრის ხელმძღვანელი და საბჭო, რომელიც შედგება ცენტრის მუდმივი წევრებისაგან: აკადემიური პერსონალისა და მკვლევარებისგან;
- 5.2. ცენტრის საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს სხდომაზე დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით. საბჭო უფლებამოსილია, თუკი საბჭოს სხდომას ესწრება ცენტრის წევრების ნახევარზე მეტი;
- 5.3. ცენტრის საბჭო:
 - ა. განიხილავს და შეიმუშავებს ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილ რეკომენდაციებს ცენტრის კვლევითი საქმიანობის პროგრამასთან დაკავშირებით;
 - ბ. ითანხმებს ცენტრის ხელმძღვანელის მიერ შეიმუშავებული ცენტრის ბიუჯეტის პროექტს, ცენტრის დებულების პროექტს;
 - გ. შეიმუშავებს რეკომენდაციებს ცენტრის ახალი წევრების კანდიდატურებისა და მათდამი წასაყენებელ მოთხოვნებთან დაკავშირებით.
- 5.4. ცენტრის ხელმძღვანელი:
 - ა. ცენტრის ხელმძღვანელს ღებულობს წარდგინებით ნიშნავს რექტორი;
 - ბ. ხელმძღვანელს ცენტრის საქმიანობას;
 - გ. ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს ცენტრის დებულებას;
 - დ. ყოველი წლის ბოლოს ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს საქმიანობის წლიურ ანგარიშს;
 - ე. ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის საბჭოს წინაშე.

მუხლი 6. საბჭოს სხდომა

- 6.1. ცენტრის საბჭოს სხდომას იწვევს ხელმძღვანელი ან საბჭო;
- 6.2. საბჭოს სხდომის შემდეგ დგება სხდომის ოქმი, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი;
- 6.3. საბჭო გადაწყვეტილებას იღებს "საბჭოს გადაწყვეტილების" სახით.

მუხლი 7. ცენტრის პერსონალი

- 7.1. ცენტრს ჰყავს აკადემიური, სამეცნიერო პერსონალი (მკვლევარები) და დამხმარე პერსონალი.
- 7.2. ცენტრის საქმიანობასა და ცენტრის ამოცანების შესრულებისათვის ჩართული არიან, ასევე, მოწვეული სპეციალისტები და უნივერსიტეტის სტუდენტები (დოქტორანტი, მაგისტრები).

მუხლი 8. ცენტრის ქონება და ბიუჯეტი

- 8.1. ცენტრი სარგებლობს უნივერსიტეტის ქონებით, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად;
- 8.2. ცენტრის დაფინანსების წყაროებია: სამეცნიერო და/ან სხვა სახის გრანტები, შემოწირულობები, სამეურნეო საქმიანობით მიღებული და სხვა შემოსავლები, რომლებიც კანონით არის ნებადართული;
- 8.3. ცენტრის დაფინანსების განკარგვა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენის წესითა და წინამდებარე დებულებით.

მუხლი 9. ცენტრის გარდაქმნა და გაუქმება

ცენტრის გარდაქმნის და გაუქმების გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

მუხლი 10. დებულებაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის წესი

- 10.1. დებულებაში ცვლილების ან/და დამატების პროექტს შეიმუშავებს ცენტრის ხელმძღვანელი ცენტრის საბჭოსთან ერთად, რომელიც ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით დასამტკიცებლად წარუდგინება უნივერსიტეტის აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოს;
- 10.2. დებულებაში ცვლილების ან/და დამატების შეტანის შესახებ პროექტი უნდა იყოს დასაბუთებული და ასახავდეს ცვლილების ან/და დამატების შეტანის აუცილებლობას.

